ეროვნული
ბიბლიოთეკა

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ჰპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11 28.

№ 21 **1883—1898** 15 ნოემბერი.

რედაქციისაგან.

როდესაც ჩვენ პირველად ჟურნალის გამოცემა განვიზრახეთ და კიდეც შევუდექით ამ საქმეს, მაშინ ცხადათ ვგრძნობდით, თუ რამდენ ხანს შეგვემლეოდა ამ საქმის განგრძობა. ყოველ გვარი სიძნელე, რასაც მალა-უნებურად შეგვამთხვევდა ეს ახალი საქმე, ნაგულისხმევი გვქონდა წინ-და-წინვე, მაგრამ მაინც თამამად ვადექით იმ აზრს და იმედს, რომ საამისო მუშაობას შევძლებდით თუთხმეტი წლის განმავლობაში. არ ყოფილა ისეთი დრო, რომ რომელიმე ნომერი ჩვენი თვალ-გადაუვლებელი გამოცემულიყოს და ამდენი ხნის განმავლობაში ღვთისაგანაც დაფარული ვიყავით და ყოველგვარი ავათმყოფობისაგან. ნიადაგ გვახსოვდა მაცხოვრის სიტყვები: «უკეთუ გაქვნდეს სარწმუნოება, ვითარცა მარცვალი მდოგვისა, რქვათ მთასა ამას: მიიცვალე ამიერ იქი, და მიიცვალოს და არა რა შეუძლებელიყოს თქვენ მიერ». მართლაც ამ რწმენით და საქმის სიყვარულობით ღვთის მადლით გაიარა თუთხმეტმა წელიწადმაც. წელიწადი წელიწადს მოუყვებოდა, საზოგადოება, რომელიც ჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორს იკვრება თავს და არც თანამშრომლობას და არც გამოწერით მაინცა და მაინც სიამედო-ᲛᲐᲣᲬᲔᲚᲘ
გამაძღნ�sეველ ნიშნებს არ გვაძლევდა, თანდათან როგორღაც შეიჭვრა ჩვენი გამოცემის თვალ-ᲛᲐᲣᲬᲔᲚᲘ
ᲣᲣᲠᲘᲡ დეკნებას. თან და თან ფეხ-ადგმული სიქმე ნელ-ნელის მატებით უფრო უკეთესის მოლოდინის იმედს გვიძრავდა, მაგრამ მაინც ᲛᲐᲣᲬᲔᲚᲘ
ბრალა არ ეტყობოდა. მიზეზი კი ის იყო, რომ ის ნაწილი საზოგადოებისა, რომელისათვისაც უმთავრესად იყო დაწყებული ეს სიქმე, სრულიად შეჩვეული არ იყო კითხვას. ᲛᲐᲣᲬᲔᲚᲘ
ᲣᲣᲠᲘᲡ ᲓᲔᲙᲜᲔᲑᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაფარულია), მაგრამ ეველა ამისთანა მსჯელობა უსაფუძვლოა და წარმოსდგება მისგან, რომ თვით ჩვენმე არ გვაქვს შეგნებული ჩვენი წარსული, არც აწეოი და არც ის ვიცით, რა მოგველის შემდეგში. ამისთანა ჩვენი მდგომარეობა არის სწორეთ მიზეზი მისა, რომ ეველაფერს დაუდგენელად და ეულ-გრილად ეეკიდებით და არაფერი გარკვეული მიზანი არ გვიდგია წინამძღოლად, რომ მან აეგორიდოს მრუდე ეზს და რეგიანისკენ წარმართოს ეოველი ჩვენი ძალა. ამ ნაირი გაურკვეველობით რეგიანი ადამიანის ძალაც კი ეწრილმანდება, ფუჭად მიდის და საერთოდ მეტად უნეკაშო შედეგს ბადავს. ბევრი რას არ ბრალის, რა არ მოეკვს მიზეზად, თუ ნივთიერი სიღარიბე, თუ ოჯახური ხერეხი და გაჭირვება, მაგრამ ეველა ეს ტეუველი თავის მართლებაა. ჩვენ რომ საკმაოდ გვაღელვებდეს ჩვენი საზოგადოებრივი მდგომარეობა და ჩვენი პირადი მოგალეობა, მაშინ ასეთი წვრილმანები ვერ დაგვიხშობდა მაღალ სურეელის მისწრაფებას და არც ასე დასცინეკი გაეხდებოდით. რაც უნდა ბევრი მიზეზი ეგეეობებოდეს წინ, მაინც მეტად საჭოთიროდ უნდა მიეკჩნეეს ხელი ავიღოთ ნამდვილ დანიშნულებაზე, და ეველაფერი ეს მაშინ არის მოსაფერხებელი, როცა ადამიანი ფსიზლობს გონეითით და თვალ-ეურს აღეეხეს ცხოვრების მიმდინარეობას. თავი და თავი დაშბერე და ხელის შემწეობი ამაში ჩვენი საზოგადოებისათვის და განსაკუთრებით სამ.. დგელოებისათვის უნდა იეოს ბეჭდური სიტ-ყვა. ვისაც ეული შესტკივა ჩვენი ქეყენისათვის, ვისაც სურს, რომ შეძლებისადაგვარად ემსახუროს თავის ძმამეთა და სამშეესოთა, იმეელი არის, რომ უმეტეს მონაწილეობას მიიღებენ ჩვენთან ერთად ღელის შემდეგ და მით დაგეეზარებინ ჩვენს საქმეში.

ვაცხადებთ რა ხელის მოწერას ეურნალზე მომავალი წლისთვის, ეულითად მადლობას ვაზეირავთ ე�eველა იმ ჩვენ მომმეთა, რომელნიც თავის თანაგრძნობას და ზრეობრივ დახმარებას გვაცხადებდენ ეოველთვის თითქმის ეურნალის დაარსებიდან. ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ მოძმეთა საყურადღებოდ.

გაგრძელება*)

მღვდელ-მოსამსახურე სხვა პირთაგან განსხვავებული უნდა იყოს თავისი მორჩილობით, სიწყნარით, სიფრთხილით და კეთილობით, რომ იგი იქნეს მიმბაძველი უფლისა იესო ქრისტესი და მის წმიდათა, რომელნიც სწორეთ ასეთი თვისებებით იყვნენ გაბრწყინვებულნი. მაგრამ მღვდელ მოსამსახურე აღჭურვილი უნდა იყოს ამა თვისებებით კიდევ იმიტომ რომ მან ღირსებით დაიკავოს საზოგადოებაში ის, ადგილი, რომელიც მოეთხოება მის ხარისხს.

გარდა ამისა მღვდელმა, როგორც განათლებულმა კაცმა, რომელსაც საზოგადოების ყოველ წრეზე უნდა ექნეს კეთილი ზედგავლენა, კარგად უნდა შეიგნოს, თუ როგორ უნდა იცხოვროს საზოგადოებაში, მას უნდა ჰქონდეს ზრდილობა და ყოველივე ესეები გამოიყენოს ცხოვრებაში. ყოველივე ესეები ითხოვება არა მარტო მისათვის, რომ თითქო მარტო ეს შეადგენდეს მღვდლის დანიშნულებას, არამედ მიტომ, რომ მღვდელი, რომელიც არავითარ ყურადღებას არ აქცევს ზრდილობას, ვერასოდეს ვერ მოიპოებს შეგნებულ საზოგადოებაში იმ პატივის-ცემას, რომელიც შეშვენის მის ხარისხს და არც კეთილი ზედ-გავლენა ექნება საზოგადოებაზე. რაც უნდა ნიჭიერი იქნეს მღვდელი, თუ იგი ზრდილობას არის მოკლებული, ფუჭია მისი სამსახური. ჩვენ ვიცნობთ სასულიერო აკადემიებში კურს დამთავრებულ მღვდლებს, რომელთაც არ იციან ცხოვრების შესაფერი ზრდილობა და არც შეგნებულ ოჯახებში მიღებული კეთილ წესიერება ესმისთ. კაი ხანია ეს აკადემიელები მღვდელ-მოსამსახურობენ, მაგრამ დღემდის კიდევ ვერ მიჩვევიან რიგიან მიხვრა-მოხვრას და ამიტომ რიგიან ოჯახებში მიმოსვლას ერიდებიან, და შეგნებული საზოგადოებაც შესაფერ პატივს არა სცემს ამ მოძღვრებს, განსაკუთრებით, როცა საზოგადოება ამჩნევს მათ, რომ აკადემიაში მიღებული სწავლა—განათლება მათ უკვე დავიწყნიათ. მღვდელს, რომელსაც მცირე განათლება მიუღია, მაგრამ შეუსწავლია ცხოვრებაში კეთილი ზრდილობა, უფრო მომეტებული სარგებლობა მოაქვს ეკკლესიისათვის, ვინემ იმ პირს, რომელსაც აკადემიაში დაუსრულებია სწავლა-განათლება, მაგრამ არ შეუსწავლია ცხოვრების კეთილი ზრდილობა. განათლებულს კაცს, რომელიც მოკლებულია კეთილ ზრდილობას, საზოგადოება ვერ ეთვისება. პირიქით ცოტა განათლებული კაცი, მაგრამ მცოდნე ზრდილობისა, იზიდავს საზოგადოების გულს.

ჩვენ, მღვდელ მოსამსახურენი, ხშირად ვჩივით, რომ საზოგადოება ჩვენ შესაფერი პატივის-ცემით არ გვექცევაო. მაგრამ ამისთანა საჩივრებით საქმეს ვერ ვუშველით, ასეთი სამდურავით ვერ მოვაქცევთ მათ, რომელნიც მედიდურის თვალით უცქერიან ტაძრის მოსამსახურეთ; ასეთ საჩივრებს საქმის გასწორება არ შეუძლია; თუ თავისი მოვალეობის შესაფერად აღმასრულებელ მღვდელს ღირსეულ პატივს არა სცემს საზოგადოება, ამის ბრალი ედება არა მღვდელს, არამედ საზოგადოებას, რომელიც ვერ სცნობს ღირსეულ მწყემს. მაგრამ არ შეგვიძლია აქვე ისიც არ ავღნიშნოთ, რომ ჩვენ მოძმეთაგან უფრო მცირე საყვედურს მოვისმენდით იმის შესახებ, რომ საზოგადოება შესაფერ პატივს არა ცემს სულიერ მწყემსთ, თუ მოვიგონებთ, რომ კაცის გარეგან მიხრა-მოხრას და ზრდილობიანობას დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების თვალში და კეთილი ზრდილობის მქონე კაცი ყოველთვის პატივის-ცემით არის მიღებული საზოგადოებისაგან. რადგან კეთილ-ზრდილობა ყველგან მიღებულია, ჩვენ, სულიერი მწყემსნიც, ვერ ავუქცევთ მას მხარს, ვინაიდგან ეს კეთილი ზრდილობა დამამშვენებელია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა. ჩვენ, სულიერნი მწყემსნი, ვალდებულნი ვართ შევითვისოთ კეთილი ზრდილობის ყოველი წესები განსაკუთრებით იმიტომ, რომ კეთილი ზრდილობა ამტკიცებს კაცის კეთილ აღზრდას. ცდებიან ისინი, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ფორმა— გარეგანი სახე, მეტი ბარგიაო და ამიტომ ჩვენ უმეტესად უნდა ვიზრუნოთ საქმის ვითარებაზე და არა გარეგან ფორმაზეო. საჭიროა ვიზრუნოთ როგორც ჩვენი სულიერი სისრულისათვის, ისე გარეგან ზრდილობისათვისაც. სარწმუნოების მხრით, საჭიროა ვასაზრდოვოთ ჩვენი სული როგორც სარწმუნოების დოღმატებით, ისე ეკკლესიური წესების შესრულებით, ვინაიდგან კაცი შესდგება სულისაგან და სხეულისგან. ჩვენ უნდა გავამშვენოთ ჩვენი სული

*) იხ. „მწყემსი“ № 20, 1898, წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყვარულით და მორჩილებით, მაგრამ ამავე დროს უნდა შეეიძლოთ ამ გრძნობათა გამოხატვა.

ძველ დროში არსებობდა ერთი ფილოსოფიური სექტა, რომლის მიმდეკვინი მხოლოდ საჭიროდ რაცხდენ თავიანთ მოვალეობათა სინამდვილით აღსრულებას და ზიზღით უყურებდენ ზრდილობის ყოველ წესებს. ცინიკების უზრდელობა მოსსენებულია ისტორიაში. ჩვენს დროში ასეთი ფილოსოფოსები პატივის ცემას არიან მოკლებულნი, მაგრამ ხსენებულ ფილოსოფოსების დედა აზრის მიმდეკვარი დღესაც ბევრი, ე. ი. დღესაც ბევრნი საჭიროდ არა სთვლიან შეავიწროონ თავიანთ თავი ძალ-დატანებით. მაგრამ ვინაც პატარაობიდგანვე მიეჩვევა კეთილი ზრდილობის წესების აღსრულებას, იმის ამ წესების აღსრულება არავითარ შეეიწროვებას არ აყენებს, პირიქით დიდ შეწუხებასა გრძნობს და სინიდისიც ამხილებს, როცა რაიმე გარეშეობისა გამო იძულებული ხდება, რომ ეს წესები დაარღვიოს.

საზოგადოდ მიღებული კეთილ. ზრდილობის წესების დაცვა თითოეულ ერს საჭიროდ მიაჩნდა. ყოველ ერს კანონმდებლობასთან ერთად, რომლის ძალით სწარმოებდა წეს-რიგი სახელმწიფოში, აქვნდა აგრეთვე კეთილი ზრდილობის წესებიც. ეს წესები, მართალია, დაწერილი არ იყო წიგნებში, მაგრამ დაცული იყო ხალხის ზნე-ჩვეულებაში. და ეს უფრო მტკიცე და შეურყეველი იყო. ყოველი ერის ზნე-ჩვეულებაში ვპოებთ კეთილ ზნეობის წესებს და ეს იმას ამტკიცებს, რომ ზრდილობა ყოველი კაცისათვის საჭიროა.

აღმოსავლეთი—ეს აკვანი კაცთა ნათესაისა—იყო ადგილი, სადაც პირველად შემოღებული იქმნა კეთილი ზრდილობის წესები. საღმრთო წერილში აღწერილია ძვირფასი ჩვეულებანი, რომელიც აქვნდათ ებრაელებს და მათთან მეზობლად მცხოვრებ ხალხთ. აბრაამის და სხვა პატრიარქების ისტორია, ისტორია დავითისა და სოლომონისა, და აგრეთვე ასურეთის მიდიის და სპარსთა მართველებისა, რომელნიც მოხსენებულნი არიან დაბადებაში, გვიჩვენებს ჩვენ სხვა ცერემონიებს, რომელიც შემოღებული იყო სადილობის დროს, და აგრეთვე სტუმრების და უცხო ქვეყნიდან მოსული პირთა მიღების დროს.

ბერძნები დიდი თაყვანის მცემელნი იყვნენ სიმშვენიერისა. ეს ხალხი ყველა ხალხზე განათლებული და მეტის მეტი ზრდილობიანი იყო მთ აქენდათ მშვენიერი ზნე-ჩვეულებანი. ლოკიკის დროს ბერძნები შემდეგი სიტყვით მიმართავდენ ხოლმე თავიანთ ღმერთებს: „შიმაღლეთ მე, ღმერთებო, ნიჭი ვილაპარაკო მხოლოდ ის, რაც სახლიმეფნია და არ მოვიქმედო არაფერი ის, რაც უზრდელობას შეადგენს».

ქრისტეს ეკკლესიამ, რომელიც სამართლიანად იწოდება პატივის-მცემლობის დიდ სკოლად დაიკავა უმაღლესი ადგილი ქვეყანაზე, მაგრამ ამ ეკკლესიამ დაიკავა აგრეთვე ძველი კეთილი ზეპირ-გადმოცემები. სახარების სწავლაში, რომელშიც გამოხატულია კაცი, როგორც ღვთის მსგავსი ქმნილება და რომელსაც მიმადლებული აქვს წმ. ნათლის ღვთის ღვთის მადლი, გამოხატულია კაცთა ნითესაობისათვის უმაღლესი წესები კეთილი ზრდილობისა. ეს წესები უფრო უმაღლესი და კეთილ-ზრდილობა კერპთ-თაყვანის მცემელ ერთა კეთილი ზნეობის წესებზე.

რომ მოვდელისათვის საჭიროა კეთილი ზრდილობის წესების ცოდნა, ეს ყოველ მოვდელს შეენებული აქვს: როცა საზოგადოების უმაღლეს პირთა ოჯახებში შეხვედებით ზოგიერთ მოძღვრებს ყოფენ ძლიერ შეეიწროებულად გრძნობენ თავიანთ თავს, უმეტეს მაშინ, როცა არ იციან ის წესები, რომელიც მიღებულია ამ ოჯახებსა; ამის გამო ზოგიერთი მოვდლები განგებ ერიდებიან ასეთ ოჯახებში მისვლა-მოსვლას. მაგრამ მოვდელი, რომელიც პაელე მოციქულის სიტყვით მზად უნდა იყოს გაატაროს წამები, სათუბნი არა მარტო ღარიბ ოჯახებში, არამედ საპატიო პირთა ოჯახებშიაც. მოვდელი, რომელიც მარტო იმის გამო არ დაიარება დაწრნაურებულ პირთა ოჯახებში, რომ ამან არ იცის ხსენებული ოჯახებში მიღებული წესები. ამცირებს თავის დიდ მოძღვრულ მოვალეობას; ის ივიწყებს, რომ მოვდელობა ყოველ შემთხვევაში უფლებას აძლევს მას, რომ საპატო პირნი და მეფენიც კი პატივს ცემდენ მასს, როგორც მოძღვარს; ამის გამო მოვდელი პასუხის მგებელია ღვთის წინაშე, თუ იგი ერიდება, რომ შესაფერი ზედ-გავლენა იქონიოს საზოგადოების მოწონავე პირთა ზედაც. მოვდელი კი არ უნდა მოგრიდოს საპატო პირთა ოჯახებში მისვლას, პირიქით მან უნდა შეისწავლოს კეთილ ზრდილობის წესები, რამდენათაც ეს საჭიროა მისთვის, რომ იგი რიგიანად დაუახლოვდეს თავის სამრეველოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲒᲣᲚ-ᲒᲣᲠᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲠᲔᲕᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲒᲣᲚᲘ ᲛᲝᲫᲦᲕᲐᲠᲘ.

ს. **ᲖᲔᲒᲐᲜᲘ.** ყოველი კაცი ვალდებულია, ნასწავლი იგი თუ უსწავლელი, თავის მოვალეობას მტკიცედ მოჰკიდოს ხელი, და გულწრფელად შეუდგეს ამ მოვალეობის აღსრულებას. ადვილად შეიძლება, რომ ასეთ კეთილ მოღვაწეს ვინმემ ხელი შეუშალოს, მაგრამ ის მაინც არ უნდა შეშინდეს და უმეტესად უნდა ცდილობდეს, რომ ყოველ დაბრკოლებას სძლიოს და არას დროს თავის მოვალეობას ხელი არ უნდა უშვას. ღღეს დიდი გაუნათლებლობაა მდაბიო ხალხში და ამიტომ საჭიროა მოძღვარი ვალდებულია იზრუნოს თავის სამრეველოსათვის. ასეთ მოძღვარს დიდი გავლენა აქვს თავის სამრეველოზე. უსწავლელ ხალხში ადვილად შეიძლება გამოჩეოოს ერთი-ორი პირი, რომელშაც ხელი შეუშალოს მოძღვარს, მაგრამ თავკრთა ყურადღებას არ მიაქცევს ცრუ მაბეზღართა, «უკეთუ მოღვაწეთა მა მოძღვრისა კეთილია».

ერთი ასეთი მოძღვარი ზემო და ქვემო ზეგანის მხ. მ. ილარიონ გორგოძე. სოფელი ზემო და ქვემო ზეგანი მდებარეობს ქუთაისის მაზრაში, ბაღდათიდგან 7-ს ვერსზე, ხოლო ზესტაფონიდან 12 ვერსზე. ზეგანი მდებარეობით მთა-გორიანი ადგილია, აქ პურ-ღვინო საკმაოდ კარგად მოდის. მეტოვრები ხალხი საღი და ჯან-მრთელნი არიან, სიკეთეი მათ შორის იწვათია. თუმცა ბუნებას უხეათ დაუჯილდოებია ს. ზეგანი, მაგრამ თვითონ მეტოვრებნი ძლიერ ნაკლებად ცდილობენ თავიანთ შვილების სწავლა-განათლებაზე. ამ 17 წლის წინათ ამოდენა სოფელში არ მოიპოებოდა სამრეველო სკოლა და არც ხეირიანი ტაძარი გაიჩნდათ მრეველთ. მაგრამ ყველა ამ ნაკლთა შესავსებად ზეგანს გამოოჩნდა მღვდელი ილარიონ გორგოძე. ხსენებული მოძღვარი მრეველის ჩაბარებისთანავე შეუდგა პირველთან ძველი ეკკლესიის შეკეთებას და ამავე დროს ქვემო-ზეგანში გახსნა სამრეველო სკოლა, რომელშიაც ჰყავს განუწყვეტლივ მასწავლებელი და მოსწავლეები. ძველს ეკკლესიაში არავითარი საეკკლესონო ნივთი არ მოიპოებოდა, მაგრამ მ. ილარიონის მთა-*გორებით მრეველს შემოსწირა ტაძარს* სხვა-და-სხვა ნივთები, სამას ოთხას მანეთის ღირებული, ამ კეთილი საქმისათვის მღ. მ. ილარიონი იქმნა ღირებული ნაბდერნეკით ნეტარ ხსენებული ყოველად სამღვდელო გაბრიელის მიერ. უკანასკნელი ბავშის სანათლავი ემბაზიც კი არ იშოებოდა და ყმაწვილებს ნათლავდენ სხვა-და-სხვა ჭურჭლებში.

ამას არ დაჯერდა მ. ილარიონი, მან თავის ყურადღება მიაქცია ქვემო ზეგანის ეკკლესიას. ეს ეკკლესია იყო ხისა და შორიდგან კაცი ვერ წარმოიდგენდა, თუ ის ტაძარი იყო. პირველად ეს ხის ტაძარი გამაშვენა მ. ილარიონმა, შემდეგ კი მ. ილარიონმა, პირველად წინადადება მისცა ქვემო ზეგნელებს, რომ მათ უთუოთ ახალი ეკკლესია აეგოთ. ამ საქმეში მამა ილარიონს დახმარება გაუწია ადგილობითი მღვდელმოძღვრისმა. ამ სახით იქმნა აგებული მშვენიერი ხის გუმბათიანი ეკკლესია კარგის კანკელით და ძვირფასი ხატებით. შემდეგ მ. ილარიონნ შეუდგა ზემო ზეგანში ახალი ტაძრის შენებას. მ. ილარიონს პირველათ სურდა, რომ ზემო ზეგანშე აეგო ახალი ეკკლესია, რადგან ხსენებული მ. მოძღვარი ზემო ზეგნელთაგანია, მაგრამ ზემო ზეგნელებმა არ მიიღეს მ. ილარიონის ამ საჯინზე რჩევა. მაგრამ შემდეგ მიბაძეს ქვემო ზეგნელებს, და მოიწვიეს ადგილობითი ბლაღოჩინი, რომლის თანადასწრებით დაადგინეს განჩინება და აღირჩიეს კამიტეტი, რომლის უფროს წევრად და ზედამხედველად ადგილობითი მღ. ილარიონი იქმნა არჩეული. ხალხმა ისურვა ეკკლესიის აღშენება სახსოვრათ ხელმწიფე იმპერატორის და მისი უუფლებულოვანის ოჯახობის მშვიდობით გადარჩენისა მატარებელის დამსხვრევის დროს 17 ოკტომბერს 1888 წელსა. ახალი ეკკლესია არის მშვენიერი წაბლის ხისა, ეკკლესიას აქვს სამი გუმბათი თავის ჯვრებით მორთული, კანკელი ნიგეზის ხის მასალისაგან არის გაკეთებული და მორთული ძვირფასი ხატებით. ორივე ეკკლესია შესაფერად არის მორთული შიგნით, და გარეთ ეკკლესიების ეზო შემოზღუდულია მშვენიერი ხეებით, რომელიც მნახველს წარმოუდგენს ბაღს...

– ხსენებულს მღ. გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ უკეთუ მრეველს განაჩენთა, მას აირჩევდა, უნდა წასულიყო თავრომის ნება-დართვით სხვა და-სხვა სოფლებში შესაკრებლათ ფულისა დასახმარებლათ ეკკლესიის შენობისათვის, მაგრამ ხალხმა ამ კეთილ განძრახვაზედ უარი განაცხადა. მ. ილარიონმა მაინც კიდევ გაგზავნა თხოვნები რუსეთის სხვა-და-სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონასტრებში, საიდგანაც მიიღო ძვირფასი შესამოსლები, ხატები და სხვა ნივთები.

ვინ დაათვალიერებს მ. ილარიონის შრომა-მოღვაწეობას და მის გულწრფელობას მრევლის სასარგებლოთ. მ. ილარიონი მრევლს რომელიმე მღვდელთ-მოქმედებისათვის სასყიდელს არა თხოვს, იგი მზათ არის მიიღოს ის, რასაც ვინ მისცემს თავის ნებით. მ. ილარიონი არიგებს ხალხს, რომ უბრალო ხარჯს თავი დაანებოს, რომ ამ უბრალო ხარჯით არ გაღატაკდეს. მ. ილარიონს აქვს შინაური აფთექა, და როდესაც მას მიმართვენ და მიიწოდებენ ავათმყოფის საზიარებლათ, მას თანვე მიაქვს წამლები (სიცხის საზომი ტერმომეტრი) და ხელ-მძღვანელობს დეკანოზის დავით ღამბაშიძის მიერ გამოცემული საექიმო «კარაბადინით».

იმედია, მ. ილარიონი არ მიაქცევს ყურადღებას ზოგიერთი პირების ცუდ მოქმედებას და ხელშეშლილობას და ღირსეულათ გაუძლევბა თავის საყვარელ მრევლს.

ზევნის სამრევლო სკოლის მასწ. პ. ვარდოსანიძე

ოქმია ზეცას!

ლტოლვა, სურვილი ქართველთა
ეს იყო, დღეს რაც გვახარებს:
ორნი ერთის წილ, საჩვენო,
ნათელ იმედზე გვამყარებს.
იმათი მადლი უძლოდეს
დაქვეითებულს ამ ერსა,
ეხატვის იმედათ გულში
სრულიად იმერ-ამერსა.

ქარგია, ვინ გაგვიმტყუნებს
იმას, რომ ჩვენი გვიყვარდეს!
რომ ზეცაც თან ხმობს, ჩვენ შორის
იესოს მადლი ბრწყინავდეს?!
ოქმია ზეცას: ამ ორთა
ნება უფლისა ქადაგონ,
საქმენი ქართველთ ერისა
მრჩობლ ცხოვრებათა განაგონ.

 რ. საჯაოხელი.

ჟურნალ-გაზეთებიდან

თურმე ზღვის წყალში ულეველი ოქრო ყოფილა.

1872 წელს ხიმიკოსი სუსტადტი დარწმუნდა, რომ ზღვის წყალში იმყოფება ძვირფასი ლითონი. მაგრამ მაშინ ამ სწავლულმა თავის გამოკვლევას შეხედა არა სარგებლობის, არამედ მეცნიერულის თვალით, როგორც შეფერობდა სწავლულ კაცს.

პროფესორმა კროკერმა კი ამ გამოკვლევას მიაქცია ყურადღება, როგორც ნივთიერად სასარგებლო საქმეს.

იგი 15 წლის განმავლობაში დიდის საიდუმლობით იკვლევდა და ცდილობდა ოქროს შოვნას ზღვის წყლიდან და მხოლოდ ეხლა-ხან გამოჩნდა, რომ ამ პროფესორის შრომას და ცდას უბრალოდ არ ჩაუვლია. კროკერმა საქვეყნოდ გამოაცხადა, თუ რამდენ ოქროს შოობდა იგი სამოცდა ხუთი ფუთი წყლისაგან და რა დაუჯდა მას ერთი გრამმი ოქროს შოვნა.

—

ჩრდილოეთ ამერიკაში დიდი ყურადღება მიაქციეს შეძლებულმა კაცებმა პროფესორის კროკერის განცხადებას.

ერთ თვესაც არ გაუვლია ამ განცხადების შემდეგ, რომ ატლანტიის ოკეანის ნაპირას მოაწყვეს ქარხანა ოქროს საკეთებლად.

ამ ქარხანაში დღეს ასი ელექტრონული მანქანა მუშაობს, და ჯერ-ჯერობით დღეში 1,650 დოლარის სადირალ ოქროს ამზადებენ,

ამ საქმეზე დახარჯული თანხა ყოველ ხარჯს ფარავს და მასთან იძლევა დიდ მოგებას.

—

მეორე სწავლულმა ქიმიკოსმა, აგრეთვე სანფრანცისკოს უნივერსიტეტის ფროფესორმა იოშ-პასკმა მიიღო მეთაურობა ერთი აქციონერული ამხანაგობისა, რომელსაც მიზნად აქვს ოქროს შოვა ზღვის წყლიდან და ტიხი ოკეანეს ნაპირას უკვე გააკეთა ქარხანა, რომელშიაც მუშაობს 250 ელექტრონული მანქანა.

დიდი ოკეანის წყალში კიდევ უფრო მეტი ოქრო ყოფილა.

პროფესორი იოშ-პასკი დღე და ღამეში ამზადებს 5,000 დოლარის სადირალ ოქროს.

ყველა ზემოთ დასახელებული ქიმიკოსების გამოანგარიშებით ჩანს, რომ ზღვებსა და ოკეანებში ყოფილა არა ნაკლებ 650,000000 ფ. ოქრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამდე მიწის გულიდან შობიდენ ბეგრი-ბეგრი სული 13,000 ფეთს ოქროს ერთი წლის განმავლობაში.

თუ ზღვების ადაოკეანების მარილიან წყლიდამ წელიწადში 13,000 ფეთს ოქროს მოგაგრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთობ საგულისხმო და საყურადღებო იგავი მოვისმინეთ დღეს ამ საგნის შესახებ წმიდა სახარებიდან. ეი ეს იგავი სიტყვა-სიტყვით (იხილე ლუკ. ᲘᲐ, ᲔᲑ). ვერ მიხვდნენ ნათქვამის აზრს და ᲨᲜᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐᲡ მაცხოვრის მოწᲕᲜᲔᲑᲔ: რაᲐ არს იგავი ესე-ო, ჰკითხავდნენ მას მოწᲕᲜᲔᲑᲔ. დაფერილებით, ᲛᲝᲜᲐᲗᲘᲗ, გასაგებად და ყველასთვის მისახვედრად ახსნა მაცხოვრმა მთელი ეს იგავი, მაგრამ მე არ მოვიყვან აქ ამ განმარტებას, რადგანაც სიტყვა გაგრძელდება და ᲔᲜᲘᲨᲜᲐ თქვენ შეᲨᲣᲗᲔᲑᲐᲡ, თქვენი ᲧᲣᲠᲐᲦᲔᲑᲘᲡ დაღლას. ნაცვლად მთელი იგავისა, ᲒᲝᲗᲮᲕᲝᲗ შესდგეთ თქვენი აზრით და გონებით მცირეოდენ ᲧᲐᲛᲘ იგავის ერთ ნაწილზე, სახელდობრ იმ სიტყვებზე, რომლებშიაც ღვთის სიტყვა, ღვთის მოძღვრება და სწᲐᲚᲐ შᲔᲓᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ თესლთან, რომელსაც მთესვარი სთესავს ნახნაᲗᲨᲘ: «თესლი იგი არს სიტყვა ღვთისაᲝ», ბრძანა მაცხოვრმა იგავის განმარტებაᲨᲘ.

ამ შᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ იესო ქრისტე გვასწᲐᲕᲔᲑᲓᲐ, რომ როგორც ხნულზე ყანის მოსაყᲐᲜᲐᲓ აუცილებლივ საᲭᲘᲠᲝᲐ თესლი, ისე ადამიანის სულის ასაყᲐᲕᲔᲑᲚᲐᲓ და კეთილი ნაყოფის გამოსაღებᲐᲓ საᲭᲘᲠᲝᲐ დანერგვა მის სიერᲛᲔᲗᲘ ღვთის-სიტყვა-მოძღვრებისა. დასტოვეთ თქვენ ხნული დაუთესავ-დაუფარცხავი? ეᲗᲘᲜ არაა ვერაფერს მოიმკით მაᲮᲔᲓ; ვერ გიიხარებთ გულს საᲭᲘᲠᲝ ხვᲐᲝᲠ. ეგრე ცარიელი, უნაყოფო და ყოველგვარ სიკეთის მოკლებული ადამიანი, რომელიც არ იოცᲘᲡ და არ ინაყოფიერებს თავის გულს ღვთის სიტყვის მოსმენით და შეგნებით. სიტყვით დამᲐᲓᲐ და გააᲩᲜᲔ ღᲛᲘᲗᲗᲐ ცა და ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ, სიტყვითაᲒᲝ თვისითა განᲐᲒᲔᲑᲓᲐ იგი ᲩᲔᲜᲘᲡ ცხოᲠᲔᲑᲐᲡ, «სიტყვა ღვთისა არის ცხოველი და ძლიერი, მისᲬᲕᲔᲓᲔᲑᲐ განსაყოფელამდე სამᲨᲘᲜᲔᲚᲘᲡა და სულისა, ძᲕᲚᲗᲐ და ᲒᲘᲜᲗᲐ, განიკითხავს გონებასა და ზრᲐᲮᲕᲘᲡა კაცისასა". კარგᲐᲓ ᲒᲘᲛᲔᲝᲗ და გამოკᲓᲔᲚᲘᲗ ჰᲭᲠᲔᲓᲐთ შეთვისებული ᲔᲡᲘᲝᲗᲔᲜᲘ ძალა და ᲨᲜᲨᲕᲔᲚᲝᲑᲐ ღვთის სიტყვისა ღვთის მᲘᲛᲘᲗᲐᲗᲐ და სათნოᲔᲑᲘᲗ მოსილ პირებს, რომᲔᲚᲗᲗᲐᲒᲐ მუდᲐᲛ ᲰᲧᲣᲠᲠᲝᲓᲐთ ღვთის სიტყვის სᲚᲘᲡ და ამ სᲣᲚᲘᲔᲠ საᲮᲠᲔᲚᲗᲗᲐᲗᲘᲡ ᲠᲗᲕᲘᲡᲔᲑᲘᲗ არა ნაკლებ ხორᲪᲘᲔᲚᲘ საᲮᲠᲔᲚᲘᲡა.

სასᲘᲠᲪᲮᲝᲔ და დამᲐᲛᲪᲘᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲩᲔᲜᲘᲡა გულᲛᲝᲓᲒᲐᲠᲔᲑᲘᲗ სიყᲐᲠᲘᲡᲣᲚᲘ და ᲬᲧᲣᲠᲘᲗᲘᲡ ღვთის სიტყვის შᲔᲓᲒᲘᲜᲐ-შᲔᲗᲕᲘᲡᲔᲑᲘᲡას აღარ უᲭᲘᲠᲐᲗ ᲩᲔᲜᲘ გულᲨᲘ ᲯᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘ ალაგი და აღარ შᲔᲓᲒᲔᲑᲘᲡ იგი ნᲘᲨᲜᲝᲑᲚᲘᲗ თვისებას აᲬᲘᲜᲔᲚᲘᲡ საᲮᲠᲔᲚᲗᲐᲗᲘᲡ. სადღა არიან დღეს ᲩᲔᲜᲘ საᲮᲠᲔᲚᲗᲐᲗᲐ ისეთი ᲨᲘᲨᲝᲚᲔᲑᲘ, რომᲚᲗᲐᲒᲐᲜ დაᲪᲕᲔᲚᲘᲡᲔᲚᲘ ᲬᲜᲔᲑᲠᲘᲗ ვალთა აქვთ აღიარებული თავიᲜᲘᲐᲜი ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲠᲗᲜᲐ-აღᲬᲠᲓᲐ სიყᲠᲘᲗᲜᲘᲐᲜ ღვთის სიტყვის დანᲓᲒᲠᲒᲐ-ᲩᲐგᲠᲜᲘᲗᲘᲡ? ვის გᲠᲜᲐᲮᲐᲗ ისეთი ოᲯᲐᲮი, რომᲚᲗᲨᲘაც ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲐთ იყოს დადებული ყოველᲓᲦᲔ რიᲜᲘᲗ ᲬᲐკითხეთ და ᲛᲝᲡᲛᲔᲜᲐ საღᲛᲠᲗᲘᲡ ᲬᲘᲠᲘᲚᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ? სადღა არიან ის ოᲯᲐᲮᲘᲡᲗᲘᲡ, რომᲚᲗᲘᲗᲘᲪ ყოველ საᲗᲚᲘᲡ ᲧᲣᲐᲦᲔᲑᲘᲗ ღვთის სახᲔᲚᲘᲡ ᲮᲚᲘᲡᲔᲑᲘᲗ და ᲚᲝᲛᲪᲐᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ შᲔᲓᲒᲔᲑᲐ? რაᲘᲜᲓᲔᲚ ის პირნი, რომᲚᲗᲘᲪ არასᲓᲔᲓᲐ არ იᲨᲝᲠᲒᲓᲔᲚᲔᲑᲘᲡ საღᲛᲠᲗᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲡ და თვით მათი სიტყვა-ᲗᲐᲡᲣᲤᲘ აᲨᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ იყო ღვთის სიტყვაზე? ჰᲛᲝ, რომ განᲬᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ პირნი და მათთან ერთად განᲬᲘᲠᲐ ის სიყᲐᲠᲘᲡᲣᲚᲘ ღვთის სიტყვისა, რომᲚᲗᲘᲪ შᲔᲓᲒᲔᲑᲘᲡ ადამიანის სულის მᲐრთებული მოᲛᲫᲦᲔᲑᲘᲡ საფუძᲕᲔᲚᲘ, კაცთა შორის შᲘᲨᲘᲚᲝᲑᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲑᲣᲠᲯᲘ, ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲣᲚᲘ სიყᲐᲠᲘᲡᲣᲚᲘᲡ მიზᲜᲘᲗ და ყოველგვარ სათნოᲑᲐᲗᲐ გაუᲬᲧᲔᲢᲔᲚᲔ ᲬᲧᲐᲠᲝᲡ, ᲰᲛᲝᲜᲔᲠ თᲥᲕᲔᲜ!

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲕᲘᲪᲘᲗ, რომ უთᲘᲚᲡᲚᲝᲛᲔ დᲐᲢᲝᲠᲑᲣᲚᲔ და მᲘᲗᲕᲘᲬᲧᲔᲑᲣᲚᲔ ხნულზე ამოდის მხᲚᲝᲛᲔᲚᲔ ეკალი, მᲐᲜᲔᲚ და სრულᲔᲑᲘᲗ გამოუსადეგარი ბალახი. ამგვᲐᲠᲘᲗᲘᲗ მიზᲜᲘᲗ გამოა, სᲬᲠᲐᲗᲘ, რომ ᲩᲔᲜᲘᲡ სულᲘᲔᲠᲘ ხნულიც სავსეა ეკალᲔᲑᲘᲗ და მᲐᲜᲔᲚ ბალახᲔᲑᲘᲗ: დიდი და ᲞᲐᲢᲐᲠᲐ, შეგნᲔᲑᲣᲚᲘ და ᲧᲕᲘᲪᲘ ერთხᲚᲘᲗ ᲩᲘᲗᲘᲗ და ᲘᲢᲘᲠᲘᲗ, რომ სარᲩᲣᲜᲔᲑᲘᲡა დᲐᲜᲯᲘ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ უᲠᲘᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲠᲩᲔᲚᲘ, ძმა ძᲚᲘᲡ მᲐᲢᲠᲘᲪᲐ და ᲨᲔᲠᲩᲔᲚᲘ ᲨᲜᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲔᲓᲔᲠᲘ გაუᲢᲐᲜᲔᲚᲐᲗ. სრᲣᲚᲔᲑᲘᲗ მᲐრთᲚᲘი და ᲧᲣᲨᲘᲐრᲘᲪᲮᲐ ამᲦᲒᲐრი მოᲛᲫᲦᲔᲑᲘᲡ-ᲩᲘᲠᲘᲚᲘი. სამᲨᲣᲬᲐᲠᲘ და სატᲘᲠᲐᲜᲔᲚᲘ ᲘᲚᲐᲐ კᲘᲓᲔᲓᲐ, რომ აღᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ უᲣᲬᲔᲚᲐᲠᲘᲗᲝᲜᲐ დღითი-დღე მᲐᲢᲣᲚᲝᲑᲡ, იᲩᲠᲓᲔᲑᲐ და ᲬᲘᲜ მᲘᲓᲘᲡ. ამ უᲦᲒᲔᲣᲠᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲠᲓᲐᲡ და ᲢᲐᲜᲘᲡ მᲐᲢᲦᲐᲡ ვᲘᲩᲐ შეაᲬᲘᲜᲔᲡ რა ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲠᲨᲘᲪ, თუ ᲓᲦᲔᲒᲐᲜᲔᲑᲣᲠᲐთ გᲐᲜᲫᲐᲠᲘᲫᲔᲗ ᲒᲣᲚᲒᲘᲪᲝᲜᲐ და სრᲣᲚᲘ უᲣᲤᲐᲠᲐᲦᲝᲑᲗᲐ იმ მᲝᲗᲕᲘᲡᲐᲩᲘᲗ და თᲘᲡᲗᲕᲘᲡ, რომᲚᲗᲒᲝᲛᲐᲪ უᲜᲓᲐ გაᲬᲘᲜᲔᲗᲔ ᲩᲔᲜᲘᲡ სულᲘᲔᲠᲘ ᲧᲐᲜᲐ ყოველი მᲐᲜᲔᲚᲒᲠᲘᲣᲚᲝᲑᲘᲡგან და გაგᲒᲐხარᲗᲔ საᲐᲛᲠᲘ ᲧᲐᲜᲐ. ᲕᲘᲜ არიან ეს მაᲓᲦᲘᲐᲜᲘ მᲝᲗᲕᲘᲡᲐᲩᲘᲗ და სადაა მათი გᲐᲜᲘᲡᲐᲣᲗᲝᲠᲘᲗᲘᲡ სᲐᲛᲘᲗᲔᲓᲦᲔ ადგᲘᲠᲔᲗ, ᲘᲙᲘᲗᲮᲐᲗᲔ თქᲕᲔᲜ. მᲝᲗᲕᲘᲡᲐᲩᲘᲜ აᲠᲐᲠᲘᲜ სულᲘᲔᲠᲘᲗᲘ მᲐᲜᲐᲚᲘ და მᲝᲫᲦᲕᲐᲠᲘᲜ თქᲕᲔᲜᲘᲜ, ᲮᲝᲚᲛ განᲐᲡᲐᲣᲗᲝᲠᲘᲗᲘᲗᲘᲗ ალაგი მᲐᲗᲘ მᲝᲛᲫᲦᲔᲑᲘᲡა არის ᲢᲐᲫᲐᲠᲘ ღᲛᲘᲗᲘᲡ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გთხოვთ და გევედრებით თქვენდა საკეთილდღეოდ და თქვენი ჩამომავლობის საბედნიეროთ იაროთ ბეჯითად ამ ტაძარში და მე, უღები მონა ღვთისა, ვეცდები ძალითა ქრისტესითა არ მოგაკლოთ თესვა ღვთის სიტყვისა. ამ ხელათ კი გევედრებით დაითესოთ და წაიღოთ აქედან შემდეგი მცირე დარიგება: როგორც წარმოუდგენელია ყანის მოსვლა უთესლოთ, ისე შეუძლებელია კეთილ-სათნოებიანი, ქრისტიანული და ღვთისნიერი ცხოვრება ქვეყანაზე ღვთის სიტყვის გარეშე. აღიარეთ ეს შეურყეველ ჭეშმარიტებათ, ბეჯითად დააჯერეთ ამაზე თქვენი გული და ნურასოდეს ნუ განიშორებთ გონებიდან. ამგვარი მტკიცე რწმენა, უეჭველია, თავის დროზე გამოიღებს შესაფერ ნაყოფს: ამ რწმენის გამო დაგებადებათ პირველათ სურვილი ღვთის სიტყვის შესწავლა-შეთვისებისა და ყოველი ოჯახი მოვალეობათ მიიჩნევს ამის გამო ღვთის სიტყვის წიგნთა შეძენას, ხოლო შემდეგში, როდესაც ამგვარათ შეიტყობთ, შეიგნებთ და შეითვისებთ გონებით ღვთის მოძღვრებას, ეჭვი არაა, ეცდებით მის განხორციელებას თქვენს ცხოვრება-მოქმედებაში.

ჯვარცმულო და ტანჯვათა დამთმენელო ჩვენისა ცხოვრებისათვის მაცხოვარო, იესო ქრისტე, მოხედე ზეცით მვედრებელთა ამათ შენთა, ჰქმენ გული მათი ქვეყანათ კეთილად, რათა თესლი სიტყვისა შენისა აღმოცენდეს მას ზედა და ჰყოს ნაყოფი ასწილი. ამინ!

ლეონიდი, ეპისკოპოსი გორისა.

8 ნოემბერი

მთავარ-ანგელოსნო ღვთისანო, მსახურნო საღმრთოჲსა მის დიდებისანო, ანგელოსთა მთავარნო და წინამძღვარნო შეცთომილთანო, უმჯობესისა ჩვენცა გვიოხენით, დიდსა წყალობასა, უხორცოთა ძალთა ერის მთავარნო.

ოჯახის კერა

მამა კაცი და დედაკაცი.

V.

(რუსულიდან)

თავის თავის დაპყრობა ჭაბუკისა.

გაგრძელება *.

ნურც ერთი ახალ-გაზდა ნუ ფიქრობს: „ახლა გვიანლაა, უმიზეზოდ დავემონავეო! ახლა ვერ შევძლებ ეშმაკის განდევნას ჩემი დამდაბლებული სულიდან, რომელსაც, როგორც მეომარს მტკიცე ზურჯი აუგე. სიყრმიდანვე, სანამ კი შეუძლია მისწვდეს ჩემი გონება, თითქმის იმ დროიდანვე, რომელიც ჩემი მეხსიერებისათვის სიზნელითა და ჯანყით არის მოცული, უწესოდ ვიქცეოდი. ამძვრა თავზედ გვირგვინი, ვინაიდგან უწესოდ ვიქცეოდი და შევსცოდე“. მაგრამ არა, ზიზღით და სიძულვილით უნდა უარ ყოს ყოველმა ახალ-გაზდამ სასოწარკვეთილების ამ ნაირი მახე. ეს მხოლოდ მაცდურის მიერ შეთხზული ხერხია. იბრძოლეთ მაშინაც კი, როდესაც გაქივრების წუთებში ყველა ომი წაგებულად გეჩვენებათ. იტყვიან, რომ სინანული უმცროსი ძმაა უმანკოებისა. მაგრამ, ნეტავი იცოდეთ, როგორ განსხვავდებიან ეს ორი ძმები! უფროსი უმანკოება— ნათელი, ძლიერი, ლამაზი, ბედნიერი და მალხაზია; უმცროსი—სინანული—ფერ მიხდილი, გამხდარი, თვალებ ჩავარდნილი და ხელებ აკანკალებულია. მისი მძიმე მიზანი ის არის, რომ იხსნას დაღუპული პატიმარი საპყრობილიდან, რომელსაც ჯერ კიდევ არ შემოვლევია რკინის მოაჯირი, პატიმარი, ბორკილით დაჯაჭული, რომლის სიმძიმე აუტანელია, მიუხედავათ იმისა, რომ უხილავია, და არც წკრიალებს. მაგრამ ღმერთს, რომელმაც შექმნა შეუძლია, გარდაქმნაც შეუძლია, მას გასწორებაც შეუძლია. სინანულის მიზანი ათჯერ უფრო მძიმე ასასრულებელია ვინემ უმანკოება. ათჯერ უმძიმესი და უფრო საძნელოა ძველ ჩვეულებათა გადავიწყება, წაგებული ბრძოლის ველის დაბრუნება, დამარცხებული და

*) იხილე „მწყემსი“ № 20, 1898 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაფრთხალ მეომართა თავის მოყრა. მაგრამ ღვთის წყალობით სინანული ყოველთვის ინარჩუნებს ბრწყინვალე გამარჯვებას. სანამ კაცი ცოცხალი კია — ის დაღუპული კიდეგ არ არის. სანამ სიცოცხლე გვაქვს, მანამ იმედიც გვასულდგმულებს. ცოდვა ვერასოდეს ვერ შეადგენს მოთხოვნილებას, თითქმის მაშინაც, როდესაც ჩვენულებად არის გადაქცეული, და შესისხლხორცებია ხასიათს. დარწმუნდითო, რომ იმედი, არამც თუ ქველ-მოქმედებაა, არამედ მადლიცაა. «ბოძანებული ხარ გზის სიდიდის გამო. მაგრამ არ გაგიმხელია, რომ იმედი დაკარგული გაქვს».

განა პირველად წმ. კიპრიანე არ ატარებდა უძლეოოს, კერპთ-თაყვანის მცემლურ, სრულ ხორციელ ცხოვრებას? მან დაეიკაკცების შემდეგ მოიხვეჭა სიწმიდე, სცადა ხასიათის შეცვლის შეძლებულობა, რასაც წინედ შეუძლებელად სთვლიდა. სიყმაწვილეში ნეტარი ავგუსტინი გარყვნილი ბაგში იყო. მისი სიყმაწვილე და სიჭაბუკე სურვილების დაკმაყოფილებით სტაბბოდდენ. მაგრამ დასახარული ის ახალ ქმნილებად შეიცვალა. არაკინ არ დაიფიქვება ისე ცოდვაში, რომ აზოსვლა ვეღარ შეიძლოს. მაცხოვარს, თუ კი ეძებთ მას, მოიკრეთ მთელ ძალ-ღონეს მისი მცნებების ასასრულებლად, ძალუძს დგიბრუნოს მხდველობა, გაამთელოს გარყვნილი ძალ-ღონე, ძალ-უძს გასწმიდოს თქვენი ნანაკირი სული. ახლა შენ ცოდვილი ხარ, ცოდვის ბორკილით შებოჭვილი, მაგრამ მაცხოვარი მოგბდით სულის შემხუთველ ტვირთს, რის შემდეგ შეგიძლია წმიდანი გახდე.

„ოჰ, ნუ თუ უნდა გერწმუნოთ, იმედს რომ გვიძლევ? დავენდოთ იმას, მისი სიტყვები მომხიბლველია. ადამიანო, არ უნდა მისცე ძალა სასო წარკვეთილებას, ყოველი მოგებულვების ღვთისაგან, გარდა მქმედებისა“.

ბევრი ითქმება ამ დიდ საგანზედ, მაგრამ მე ვაბოლოებ ორიოდე სიტყვით შესახებ ბედნიერებისა, რომელიც წარმოსდგება თავის თავის დაპყრობისაგან.

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თავის თავის დამორჩილებას ამას დაენახავთ მაშინ, როდესაც მას შევადარებთ ჩაქრობილს სინდის, გაფუნტულ ადამიანის სირცხვილსა და სასოწარკვეთილებას, ან ცხოვრებას, რომელიც ნაფოტივით გვატრიალებს ყოველ მხრივ, ან გრძნობებს — სირცხვილისაგან სატანჯველს.

გაუბედავნი და მხდალნი თითონ არიან დამნაშავენი და მიზეზი მათი დამარცხებისა. იმათ ოგემეს ნაყოფი მკედრთა და მოიწამლენ. მათი სიბერე ემსგავსება ნავს, რომელიც გამოურიყავს მღელვარებას ტალახიან ნაპირზედ, და არაოდეს აღარ ჩაბრუნდება უკან. მათი სხეული საპატიმროა, იმათ ჭგონიათ, რომ ვერასოდეს ვერ მოიძრობენ ტეიროს იმ მანკიერებათა, რომელსაც შეუბოჭავთ. ასეთი ადამიანი მარად ტამ და ყოველგან ატარებს თვის სასჯელს. სადაც უნდა წავიდეს, ყოველგან ჯოჯოხეთია. ჯოჯოხეთი თვის არსებაში გაუჩენიბია. ამ გვარი კაცი სწორედ იმას მოგვგონებს, რაც სთქვა თავის შესახებ ერთმა სწავლულმა მეარე ვამოკლილების შემდეგ: „თავ-აშვებული ბატონი—მონაა მემკვიდრეობითი სატანჯველისაო». მეორეს მხრით იმ კაცს, ვისაც შეუუშავებია უნარი თავის თავის დამორჩილებისა, აქვს სიმდიდრე საუკეთესო და წარუვალი“.

ძველ დროს სამღვთო წერილის გადამწერთ ვერ შეუნიშნავთ სიღრმე და სიდიადე ეგრაელთა მიმართ ეპიტროლეს ამ ადგილისა (X, 34). ამ ადგილისათვის, თუმცა მართალია, მაგრამ ვარგანი ნი თავისებური მნიშვნელობა მიუციათ, და ამ სახით გადმოქვეცილენ: «უწყითა რამეთუ გაქვ. თავისა თქვენისა საუუჯე უმჯობესი ცათაშინ დიდ» ნამდვილი მნიშვნელობით ეს ადგილი ნუგეშს უნდა შეიცავდეს ტანჯულ ებრაელთათვის უბედურებასა და დევნის დროს, რომელსაც ითმენდენ იმ დროს. თქვენ უნდა გახსოვდეთ, მიუხედავთ ყველა ამ ვაებისა უნდა იქმოდეთ კეთილს, განისწავლენით (ამ ვაებით) ცნობად, რომ გაქვთ თავის არსებაშივე საუუჯე უმჯობესი, ვინემ მთელი ქვეყნიური სიკეთე, რომელიც დაჰკარგეთ, საუუჯე წარუვალი, რომლის მოღება არ შეუძლია არც ჯოჯოხეთს და არც სოფელს. ეს საუუჯე საუკუნო სულიერი ცხოვნებაა, სადაც ბრწყინავენ ლაჟვარდი განსვენებისა, რომელსაც ვერ დაჩრდილავს ვერც ერთი ქვეყნიური ღრუბელი. თითქმის კერპთ თაყვანის მცემელსაც ძალ უუს დაფფასოს რამდენიმედ სიდიადე ამ გრძნობისა. სენეკის ერთ-ერთ ტრაგედიაში მოხუცებული ქალი ანიშნებს მედეის მის უიღბლობას:

ეროვნული ბიბლიოთეკა

‹Abiere Colchi, coniungis nulla est fides, Nihilbue Soperect, opibus e tantistibi›

«თქვენი მეუღლე თქვენი ორგულია, დაგტოვეს მხედრებმა, თქვენი სიმდიდრე დაიტაცეს, რაღა გრჩებათ თქვენ?“ — „მედეია მრჩება მე», მიუგო გაბედულად. მე კიდევ ერთგული ვარ თავის თავისა. ვისაც თავის თავი დაუმორჩილებია — ის მზის სხივებით გაბრწყინვებულს გორაზედ სდგას, ღრუბლების ზევით.

ბედის წერას შეუძლია ყოველი გარეგანი სიკეთის მოკლება, მაგრამ თვით ცნობიერებისა, თვისი მნებელობისა კი არა. ხე ისევ ხედ რჩება მთელი მისი ძალ-ღონით მაშინაც კი, როდესაც ქარიშხალი ფოთლებს აყრევინებს.

«სიბერესაც თვისი ძალა აქვს, თვისი ნაღველი. სიკვდილი ახლოს გვადგია, მაგრამ ჯერ არ მოსულა. მაინც ვიპოვით სამუშაოს, ვიპოვით საქმეს კეთილშობილურს“.

ამის და მიხედვით ყოველი ახალ გაზდა უწინარეს ყოვლისა უნდა ცდილობდეს თავის თავის დამორჩილებას. უამისოდ ის უბედური და მდაბალი იქნება, ხოლო ამით კი უეჭველად ბედნიერი. თუ თავის თავზე ზედგავლენა არ გვაქვს — ყველაფერი ბოროტი სულისაა, უჩინარი წყევაა. ხოლო როდესაც თავის თავს ვიმორჩილებთ, მაშინ „შვილნი ღვთისანი“ ვართ, მპყრობელი ნეტარებისა ამ ქვეყანაში და მემკვიდრე საუკუნო ბედნიერებისა ცათა შინა. ვისაც არ აქვს ძალ-ღონე თავის თავის დამორჩილებისა, მან რა უნდა მიაგოს უფალსა, რომელმაც შექმნა ის, გარდა სხეულის მანკიერებისა და სულიერი ცოდვებისა«. ხოლო თუ თავის თავზედ ზედგავლენა გვაქვს, მაშინ მივაღწევთ მაღალს დანიშნულებას თავის არსებობისას და დავიმკვიდრებთ საუკუნო ცხოვნებას.

საეჭვო კითხვების განმარტება.

კითხვა. სახალხო და სამრევლო დასაწყისს სკოლების მასწავლებელთ აქვსთ თუ არა უფლება, რომ ფორმის ქუდები დაიხურონ?

მიგება. სახალხო და სამრევლო დაწყებითი სკოლის მასწავლებელთ ფორმის ქუდების ტარების უფლება არა აქვსთ.

კითხვა. მასწავლებელი მედავითნე, რომელსაც კურსი შეუსრულებია ქალაქის სასწავლებელში და წერა კითხვის მასწავლებლად არის დანიშნული შეიძლება სალდათათ არ იქნეს გაწვეული?

მიგება. წერა-კითხვის მასწავლებელი მედავითნე, რომელსაც ქალაქის სასწავლებელი შეუსრულებია, მაგრამ მასწავლებლობის წოდების უფლება არ აქვს უნდა გაწვეულ იქნეს სალდათათ თუ რამე სხვა სალავათი არ პატივობს მას.

კითხვა. ცუდი ყოფაქცევისათვის ან ზარმაცობისათვის სამრევლო სკოლის მოსწავლის დათხოვა ვისი საქმეა მასწავლებლის თუ სკოლის გამგის?

მიგება. მოწაფის დათხოვა სამრევლო სკოლიდან ზარმაცობისა და ცუდი ყოფაქცევისათვის სკოლის გამგებლის საქმეა და არა მასწავლებლისა.

კითხვა. მედავითნემ შეირთო ქვრივი ქალი ცოლათ, რამდენიმე დროის შემდეგ ისურვა მთავარ-დიაკვნად კურთხევა. შეიძლება თუ არა ამ მედავითნის მთავარ დიაკვნად კურთხევა თუ სწავლა მიღებულია?

მიგება. ამისთანა მედავითნის არა თუ მთავარ დიაკვნად კურთხევა არ შეიძლება, არამედ მოციქულების კანონისამებრ მეთვრამეტე მუხლისა არც მედავითნეთაც დაყენება შეიძლება.

კითხვა. რამდენ ხანამდის შეიძლება გარდაცვალებულის მოხსენება: „ახლად გარდაცვალებულად?»

მიგება. ორმოც დღემდის და ორმოცი დღის შემდეგ კი სიტყვა ახლად აღარ ითქმება, არამედ ითქმება „გარდაცვალებულისა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხვა. გაუთხოვარ ქალს დაებადა ბავში, რომლის შესახებ ვინმე კაცმა განაცხადა, რომ ბავში ხსენებულ ქალს მისგან შეეძინა; ამას ამოწმებს ბავშის დედაც. შეიძლება თუ არა, რომ მღვდელმა ამ ბავშის მონათვლის დროს მამათ დასახელებული კაცი აჩვენოს მეტრიკაში?

მიგება. გაუთხოვარი ქალისაგან შობილი ბავში უნდა დაიწეროს დედის გვარით და სახელით და არ შეიძლება მამად დაიწეროს ვინმე კაცი, თუ მას ჯვარი არა აქვს დაწერილი ამ ქალზე. ამ შემთხვევაში სახეში არ მიიღება არც ბავშის დედის და არც ვინმე კაცის განცხადება, რომ ის არის მამა ბავშისა.

კითხვა. იმერეთის ეპარქიაში მოხდა განკარგულება, რომლის ძალით ადგილობითი ბლაღოჩინების ნებადაურთველად სამღვდელო პირნი არ უნდა გაშორებოდენ სამრევლოს და ეპარქიის ქალაქში არ დაეწყოთ სიარული. საჭიროა თუ არა ბილეთის მიღება ყოველ შემთხვევაში ადგილობითი ბლაღოჩინიდან და როგორი მარკები იხმარება ამ ნებადართვაზე?

მიგება. 3 ივნისს 1894 წ. გამოიცა უმაღლესად დამტკიცებული კანონი და დებულებანი შესახებ პასპორტების მიღებისა, რომლებშიაც მოხსენებულია, რომ სამღვდელო უწყება პასპორტების შესახებ ექვემდებარება სასულიერო კანსისტორიის წესდებულების კანონებსო, რომელთაც 83 სტატიით პასპორტები მიეცემა მღვდელმთავრებისა და კანსისტორიისაგან სამშაურიანი გერბის მარკებით და ისიც იმათ, რომელნიც ერთი ეპარქიიდან მეორე ეპარქიაში მიდიან. წასვლა ერთსა და იმავე ეპარქიაში სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურეთა თანახმად 31 სტატიისა ბლაღოჩინთა ინსტრუქციისა ყოველთვის უნდა მოხდეს ადგილობითი ბლაღოჩინის შეტყობით და მისი ნებართვით და პასპორტის მიცემის შესახებ არაფერი არ არის ნათქვამი. ამისათვის იგულისხმება, რომ პასპორტების მიღება ამ შემთხვევაში საჭირო არ არის და არც ითხოვება. თუ რომელიმე მთხოვნელი სამგზავროდ გამზადებული საჭიროებს ბლაღოჩინის დამოწმებას, რომ იგი ამა თუ იმ საჭიროებისათვის მიემგზავრება ეპარქიის ქალაქში, მაშინ თანახმად ღერბის გადასახადის წესდებულებისა, გამოცემულის 1893 წელში ამისთანა მოწმობაზე ოთხ აბაზიანი მარკა უნდა იქნეს დაკრული.

კითხვა. ვალდებულია თუ არა მთავარ-დიაკონი, რომ კლიროსზე დადგეს წიგნების საკითხავად და მედავითნის თანამდებობა აასრულოს, როცა მედავითნე რომელიმე შემთხვევაში არ არის?

მიგება. დიაკონი, რომელიც მედავითნის ადგილზე არის განწესებული, ვალდებულია მედავითნის ადგილზე კლიროსზე დადგეს და აღასრულოს მისი მოვალეობა. თუ მღვდელი ისურვებს, მაშინ ვალდებულია მთავარ-დიაკონობის სამსახური შეასრულოს მღვდელთან, მაგრამ მთავარ-დიაკონის ადგილზედაც რომ იყოს განწესებული, მაშინაც არ შეუძლია უარი განაცხადოს მედავითნის მოვალეობის აღსრულებაზე, თუ მედავითნე რაიმე გარემოებისა გამო ეკკლესიაში არ არის.

აქ უნებლიეთ გვაგონდება კიევის მიტროპოლიტის პლატონის ერთი საქციელი. ერთ დროს თავის სასახლის ეკკლესიაში წირვას ისმენდა ეს მიტროპოლიტი და კლიროსის სიახლოვეს იდგა. ამავე ეკკლესიაში იდგა ერთი შორე ადგილიდან მოსული მღვდელი. როცა მწირველმა მღვდელმა სახარება გამოასვენა, წინ სანთლით არავინ არ მოუძღოდა. მიტროპოლიტმა საშანდლესკენ მიუთითა ამ მღვდელს, რომ გამოძღოლოდა წინ. მღვდელმა მოახსენა: «არ ჯერ არს, რომ მღვდელი სანთლით გაუძღვეს მწირავ მღვდელს ტრაპეზიდან გამოსვლის დროსო». მაშინ თითონ მიტროპოლიტმა მოკიდა ხელი შანდალს მოკიდებული სანთლით და გამოუძღვა წინ მღვდელს. როცა მღვდელმა შეხედა ამას და გაიგო, რომ წინ გამომძღოლი თვითონ მიტროპოლიტი ბრძანდებოდა, შიშმა შეიპყრო და წირვის გათავებისას დაჩოქვით შეევედრა ეპატიებია მისთვის ეს შეცთომა. მიტროპოლიტმა მიუტევა, მაგრამ გააფრთხილა შემდეგისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეწირულებანი.

ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდათ შემდეგი წერილები:

I.

მღვდლის დავით კვიტინაძისაგან:

«მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ, რომ თქვენი პატივცემული გაზეთის «მწყემსი»ს საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ როგორც მე აგრეთვე ჩემმა მრეველმა ქვემოთ აღნიშნულთ პირთ, რომელთაც შემოსწირეს ჩემდამო რწმუნებულს ხოინის წმ. გიორგის ეკლესიის ქვემოთ აღნიშნული ნივთები. აი შემომწირველთა სიაც: ფუტუნია, იგივე მარიამ მაჰავარიანისამ მესხის ასულმა შემოწირა შემოსილი წმიდა სახარება, ღირებული 18 მ., ვახტანგ ლოლაძემ—ორი დასაკიდებელი პატარა კანდელი ზეთით და პატრუქით, ღირებული 7 მან., სარინო გურეშიძემ—ერთი ცალი ქაღაგებანი ყოველად უსამღვდელოესის გაბრიელისა, ღირებული 1 მ. 50 კ., ეკთიმე მაჩიტიძემ—ანლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმძღვანელონი ᲓᲐ სხვა საკითხავი წიგნები,

დაწერილნი იაკობ გოგებაშვილისა მიერ.

ᲓᲔᲓᲐ-ᲕᲜᲐ, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სიერო და სამრველო სკოლებში სახმარებელი, მე-11-ტი შეკეთებული გამოცემა, დაბეჭდილი წერა-კითხვის სახელმღვანის მიერ. ამ გამოცემაში ერთიანელია თავში სახეკავი სურათები და ბოლოში სიწერი დედანი, ასე, რომ ამ წიგნის ხმარებელთან აღარ მოუწევდათ სკიდა არც სახატებისა და არც დედანისა. ფასი ისევ ექვსი შაური, ანდა ორი ბაბანი. ეს წიგნი მოწონებულია და ᲓᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ ენის სახელმძღვანელოდ დანიშნული განათლების სამინისტროს მიერ და უუფლების სინოდისაგან... ᲛᲘᲜᲪ ერთად იყიდის ოც ადამიანს ᲛᲔᲢᲘ ცალსა, წიგნი დადგმება ოთხ ბაბადა, ვინც ოცსა—თუთხმეტ შაურად და ვინც ოცდა ათსა—თოთხმეტ შაურად. ეს წიგნი მოწონებულია სამინისტროსგან, როგორც «ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲜᲘᲔᲠᲘ სახელმძღვანელო ᲓᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ ენისა» და აგრეთვე უუფლებო სინოდისაგან.

ᲙᲝᲛᲝᲠᲘ, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახელობაში სახმარებელი, გამოცემა მერე, ფასი ორი შაური ნაოდათ 8 კაპეიკი.

ᲙᲝᲜᲐ საყმაწვილო მოთხრობათა ბუნების მეკანიერებიდგან, მეოთხე გამოცემა, სურათებიანი, ფასი ათი შაური, ვინც ნაოდს ფუფლზედ იყიდის ათს ცალსა, ცხრა შაურად მიეცემა წიგნი, ᲕᲜᲪ ოცსა-ᲚᲐ ბაბასთან: წიგნი მოწონებულია როგორც სამინისტროსგან, ისე სინოდისგანა.

ᲮᲘᲛᲔᲚᲘ, ანუ ᲩᲩᲔᲣᲚᲗᲐ ლექსთა კრება მოზრდილ ყრმათათვის, მეორე გამოცემა, ფასი ექვსი შაური. მოწონებულია სამინისტროსა და სინოდისაგან.

ᲙᲣᲜᲬᲣᲚᲘ, ანუ საყმაწვილო მოთხრობანი, ფასი ორი ბაბანი. მოწონებულია როგორც სამინისტროსგან, ისე სინოდისგან.

ᲘᲐᲕᲜᲐᲜᲐᲗᲐ ᲠᲐ ᲒᲐᲛᲔᲚᲘ? მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის, მეორე სურათებიანი გამოცემა ფ. 10 კ.

ᲮᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ? საყმაწვილო მოთხრობა, ფასი შ. ᲣᲠᲐᲜᲘ.

ᲐᲡᲙᲘᲜᲘᲡ ᲛᲐᲚᲐ საყმაწვილო მოთხრობა მეფე ერეკლეს სურათით, და ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ. მეორე გამოც. ფასი 10 კ.

ᲛᲘᲠᲘᲛᲘᲐᲜᲘ ᲨᲣᲨᲣᲜᲐᲠᲘᲛᲝᲑᲐ. პუბლიცისტური წერილი დედა-ენის ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ შეიხვეს ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲛᲐᲓᲐᲛᲘᲜᲘᲡ და ᲛᲝᲛᲔᲚᲘᲡ ერის ცხოვრებაა და წარმატებაში, ფასი ერთი ბაბანი...

ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲜᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲜᲘ, ისტორიულნი მოთხრობანი, დასურათებულნი, ფასი ორი შაური.

РУССКОЕ СЛОВО, часть первая, изданіе четвертое, цѣна тридцать копѣекъ, въ переплетѣ 40 ко пѣекъ.

РУССКОЕ СЛОВО, часть вторая, изданіе третье, цѣна 40 копѣекъ, въ переплетѣ 50 коп.

РУКОВОДСТВО для учащихъ къ преподованію русскаго языка по «Русскому Слову», цѣна 50 коп.

Обѣ части „Русскаго Слова“ одобрены въ качествѣ учебнаго руководства по русскому языку для грузинскихъ школъ, а „Руководство для учащихъ„ одобрено для библіотекъ низшихъ и среднихъ учебныхъ заведеній всего Кавказскаго учебнаго охруга, и то и другое одобрено учебнымъ Начальствомъ, съ утвержденіи Господина Главноначальствующам. (смотри „Сборникъ“ распоряженій по управленіюоКавказскимъ Учебнымъ округомъ стр. 1965 и 1967

Равнымъ образомъ одобрено и рекомедовано. „Русское Слово“ духовнымъ учебнымъ Начальствомъ.

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲡ წიგნები უმოგარეულად იყიდება: თბილისში წერა-კითხვის სახლგადლების მაღაზიაში ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ: ᲑᲔᲥᲜᲘᲔᲠᲘᲡᲗᲐᲜ, ᲩᲘᲚᲐᲫᲘᲡᲗᲐᲜ და ᲮᲔᲗᲐᲠᲘᲔᲚᲗᲐᲜ, ᲒᲐᲗᲛᲘᲗᲨᲘ თავᲐᲠᲗᲘᲚᲐᲫᲘᲡᲗᲐᲜ და ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲘᲗᲐᲜ, ᲤᲝᲗᲘᲗᲨᲘ—ᲢᲣᲠᲣᲛᲝᲕᲘᲡᲗᲐᲜ, ᲝᲩᲮᲣᲠᲔᲗᲘᲗᲨᲘ და ᲡᲘᲜᲐᲯᲘᲗᲨᲘ თავᲐᲠᲗᲘᲚᲐᲫᲘᲡᲗᲐᲜ, ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲗᲨᲘ ᲪᲘᲜᲫᲐᲫᲘᲡᲗᲐᲜ, ᲡᲣᲠᲮᲘᲗᲨᲘ ᲭᲘᲥᲕᲘᲜᲘᲫᲘᲡᲗᲐᲜ, ᲣᲪᲐᲠᲝᲗᲨᲘ —ᲐᲠᲐᲑᲘᲫᲘᲡᲗᲐᲜ, ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲔᲗᲨᲘ ᲧᲐᲠᲐᲛᲨᲔ ᲩᲮᲔᲠᲔᲗᲘᲗᲐᲜ, ᲑᲐᲖᲣᲠᲗᲨᲘ ᲨᲣᲠᲒᲘᲐᲜᲘᲗᲐᲜ, ᲒᲝᲠᲘᲗᲨᲘ—ᲧᲚᲐᲫᲔᲑᲘᲫᲘᲡᲗᲐᲜ, ᲗᲔᲗᲠᲘᲬᲧᲐᲠᲝᲗᲨᲘ—ᲛᲔᲮᲘᲪᲘᲡ ᲪᲘᲡᲙᲐᲠᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐᲜ, ᲡᲘᲚᲐᲚᲐᲗᲨᲘ ᲐᲛᲮᲔᲠᲯᲝᲑᲘᲡ მაღაზიაში, ᲕᲚᲐᲓᲘᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲗᲐᲜ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲝᲪᲘᲫᲘᲡᲗᲐᲜ. 1Თ—10.

მიიღება ხელის-მოწერა 1899 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულ

„მწყემს“-ზე

ᲓᲐ

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ:

12 თვით «მწყემსი» 3 მ.	6 თვით «მწყემსი» 2 მ
— „ რუსული „ 3 მ.	—„ რუსული „ 2»
— „ ორივე გამოცემა 5 »	—„ ორივე გამოცემა 3»

ᲒᲐᲖᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲐ ᲓᲠᲝᲒᲝᲠᲪ **ᲒᲣᲠᲘᲐᲚᲘᲡᲨᲘ**, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔᲒ **ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘᲐᲪ. ᲗᲘᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ** ᲬᲘᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲓᲒᲐᲠᲯᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ Მ.ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔᲡ, Ბ. ᲨᲝᲠᲘ ᲥᲣᲗᲣᲪᲐᲨᲘᲚᲘᲡᲗᲜᲔ. **ᲤᲝᲗᲝᲜᲨᲘ** — ᲓᲔᲓᲐᲙᲐᲜᲗᲐᲗᲕᲘᲡ Მ. ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲛᲐᲯᲐᲠᲝᲕᲗᲐᲜ; **ᲡᲐᲠᲬᲧᲔᲚᲨᲘ** — ᲧᲐᲠᲐᲜᲗᲘᲡ ᲩᲘᲫᲘᲫᲘᲡᲗᲐᲜ; **ᲮᲘᲜᲯᲘᲚᲐᲜᲨᲘ** — ᲓᲔᲓᲐᲙᲐᲜᲗᲐᲗᲕᲘᲡ Დ. ᲮᲘᲜᲯᲘᲚᲐᲜᲗᲐᲗᲕᲘᲡ; **ᲮᲘᲜᲯᲘᲡᲬᲧᲐᲚᲨᲘ** — ᲑᲚᲐᲒᲝᲜᲘᲠᲝᲕ ᲛᲐᲘᲠᲐ ᲐᲠᲘᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲙᲘᲚᲔᲚᲔᲓᲐᲠᲘᲨᲘᲚᲘᲡᲗᲐᲜ.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲬᲘᲤᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲘᲠᲐᲜᲗᲘᲗ ᲒᲐᲖᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲘᲡᲐᲮᲛᲝᲗ ᲛᲝᲜᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲝᲠᲘᲒᲘᲜᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ **ᲡᲐᲛ ᲛᲐᲜᲗᲘᲗᲐᲓ.**

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲐᲫᲚᲘᲡ ᲙᲐᲜᲪᲔᲠᲘᲐ: **ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ** ᲮᲐᲜᲒᲐᲜᲨᲘᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ და **ᲒᲣᲠᲘᲐᲚᲘᲡᲨᲘ** ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ.

ᲑᲐᲠᲘᲗᲘᲗ ᲛᲘᲪᲔᲜᲝᲠᲘᲗᲔᲑᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲠᲘᲗᲔ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲗ ᲐᲛ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ: **ᲒᲐ Квирилы, ᲒᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „ᲛᲪᲮᲔᲛᲡᲘ“ ᲓᲐ «ПАСТЫРЬ».**

ᲛᲝᲛᲓᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲠᲗᲐᲡᲬᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ ᲡᲘᲮᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲠᲗᲐᲡᲬᲘᲡ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲛᲓᲒᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘᲡ

ᲐᲙᲐᲙᲘᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ,

ᲑᲠᲣᲡᲔᲚᲘᲡ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲨᲔᲛᲝᲛᲓᲔᲑᲘᲜᲔᲣᲚᲘ ᲡᲘᲮᲣᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲤᲣᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. Დ. ᲓᲐᲛᲑᲐᲨᲘᲫᲔ. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 14 ноября 1898 г. ✦ Цензоръ прот. Е. Еліевъ.

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Хананoвыхъ, на Нѣмецкой ул.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲙᲘᲠᲙᲚ ᲡᲐᲐᲕᲐᲜᲗᲛᲧᲝᲤᲝ ᲐᲮᲐᲮᲚᲐᲢᲝᲠᲘᲜᲘᲗᲣᲠᲒᲘᲡ

Ს. Გ. ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲐᲜᲘᲡ.

Ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ.

ᲡᲐᲐᲕᲐᲜᲗᲛᲧᲝᲤᲝᲨᲘ ᲓᲐᲒᲐᲡ ᲝᲠᲛᲝᲪᲘ ᲡᲐᲧᲝᲚᲘ ᲮᲘᲠᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ, ᲒᲘᲜᲔᲙᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲘᲜᲗᲘᲡ ᲐᲕᲐᲜᲗᲛᲧᲝᲤᲝᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲣᲨᲣᲙᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲓᲘᲡ ᲡᲘᲜᲗᲘᲡ ᲐᲕᲐᲜᲗᲛᲧᲝᲤᲝᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲘᲐᲜ. ᲛᲝᲜᲐᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲐᲕᲐᲜᲗᲛᲧᲝᲤᲝᲜᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲘᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ 11 ᲡᲐᲐᲗᲓᲐᲜ ᲨᲣᲐᲓᲦᲔᲛᲓᲔ 3 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ.

ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲜᲘᲠᲗᲒᲘᲗᲘᲠᲜᲘ ᲐᲕᲐᲜᲗᲛᲧᲝᲤᲝᲗᲐᲡᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲘᲡ

ᲔᲫ. Ს. Ბ. ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲐᲜᲘᲡ.

ᲮᲘᲠᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ, ᲨᲐᲠᲓᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲘᲚᲘᲡᲘᲗ

ᲔᲫ. Ფ. Კ. ᲒᲔᲠᲐᲠᲓᲘ.

ᲓᲔᲓᲐᲙᲐᲪᲣᲠ ᲐᲕᲐᲜᲗᲛᲧᲝᲤᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲐᲭᲘᲝᲡ ᲥᲐᲚᲘ-

ᲔᲫ. Მ. Ფ. ᲙᲝᲯᲝᲕᲘ.

ᲗᲕᲚᲔᲚᲘᲡ ᲐᲕᲐᲜᲗᲛᲧᲝᲤᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲔᲫ. Ი. Კ. ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲫᲘ.

ᲠᲩᲔᲣᲚ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲤᲣᲚᲘ 50 კ., ᲙᲝᲜᲡᲘᲚᲘᲣᲛᲘᲡ ᲤᲣᲚᲘ 3 Მ. ᲓᲦᲔ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲥᲘᲠᲐ ᲡᲐᲐᲕᲐᲜᲗᲛᲧᲝᲤᲝᲨᲘ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ ᲓᲐ ᲔᲥᲘᲛᲘᲗᲘᲗ 2—3 ᲗᲐᲜᲯᲝᲛᲓᲔ. ᲐᲮᲐᲠᲘᲪᲘᲘᲡ ᲤᲣᲚᲘ ᲒᲐᲠᲘᲒᲔᲑᲘᲗᲐ.

ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ Ს. Ბ. ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲐ.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:

ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲜᲐᲬᲘᲜᲔᲑᲘ: რედაქციისგან. —ჩვენ მოძმეთა საყურადღებოდ.—გულკეთილი და თავის მრველისათვის თავდადებული მოძღვარი.—ოქმია ზეკეს (ლექსი) —ჟურნალ-გაზეთებიდან.

ᲡᲐᲮᲐᲚᲯᲝ და **ᲛᲝᲜᲔᲜᲘᲠᲔᲑᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲜᲐᲒᲠᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲑᲐᲡᲐ** და **ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲗᲐ-ᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲝᲑᲐᲨᲘ:** მოძღვრება 21-სა კვირიაკეს ზედა.—8 ნოემბერი.—ოჯახის კერა, მამაკაცი და დედაკაცი. თავის თავის დაკერობა ეპიტეკისა.

ᲡᲐᲮᲘᲐᲠᲘ და **ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ** ცნობათა განყოფილება: საეკეო კითხვების განმარტება —მეწრილულებანი.—განცხადებანი.